

ეკოლოგიური პრობლემების, კლიმატის ცვლილების გავლენა ადამიანთა
ჯანმრთელობაზე, აღნიშნულ საკითხებზე სტუდენტების ცოდნისა და
ინფორმირებულობის შეფასება

მაგისტრანტი: დავით ლომია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით ლომია, **დ.ლომია** 09.04.2022

აბსტრაქტი

შესავალი/მიზანი: ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა კლიმატის ცვლილებისა და სხვადასხვა სახის ეკოლოგიური პრობლემების აქტუალობა. მომატებული ჰაერის ტემპერატურა, გარემოს დაბინძურება, გახშირებული გვალვები, წყალდიდობები და სხვა ბუნების სტიქიური მოვლენები შესამჩნევ უარყოფით გავლენას ახდენენ ადამიანების ჯანმრთელობაზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ქვეყნებს სხვადასხვა მიდგომები აქვთ აღნიშნულ გამოწვევებთან დაკავშირებით, რაც დიდწილად დამოკიდებულია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონეზე და მათ შეხედულებებზე. კლიმატის ცვლილება და ეკოლოგიური პრობლემები აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საქართველოშიც. კვლევის მიზანია სტუდენტების ინფორმირებულობისა და ცნობადობის დონის, ასევე სამომავლო მოლოდინებისა და შეხედულებების დადგენა ზემოაღნიშნულ საკითხებზე. **მეთოდოლოგია:** რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, სტრუქტურირებული და თვით ადმინისტრირებადი კითხვარი ონლაინ ფორმატით გადაეგზავნათ ხუთი უნივერსიტეტის სტუდენტებს. კითხვარი ღია იყო ერთი კვირის განმავლობაში და მასში მონაწილეობა მიიღო 107-მა სტუდენტმა. **შედეგები:** სტუდენტების უმრავლესობას (97.2%) სმენია კლიმატის ცვლილების შესახებ. მათ უმეტესობას სმენია ისეთი ეკოლოგიურ პრობლემების შესახებ, რომლებზეც ხშირად საუბრობენ ტელე და ინტერნეტ სივრცეებში. ნაკლებად წარმოდგენილ ეკოლოგიურ საკითხებზე ცოდნის დონე შედარებით დაბალია. სტუდენტების უმეტესობა მიიჩნევს რომ სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს აღნიშნულ საკითხებს. **დასკვნა:** სტუდენტების ინფორმირებულობის დონე კლიმატის ცვლილებისა და უმეტესი ეკოლოგიური პრობლემების შესახებ არის მაღალი. მათი გარკვეული ნაწილი მზად არის განახორციელოს ინდივიდუალური ქმედებები აღნიშნული პრობლემების წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა ასევე მეტ ქმედებას მოითხოვენ სახელმწიფოს მხრიდანაც. **ძირითადი საძიებო სიტყვები:** კლიმატის ცვლილება, ეკოლოგიური პრობლემები, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა.

Abstract

Background/Objectives: In the last few decades problems caused by climate change and various ecological problems have become more relevant. Increased temperatures, environmental pollution, more frequent droughts, floods and other natural disasters have a noticeable negative impact on human health worldwide. Countries have different approaches to these challenges, which largely depend on the level of awareness of the population and their views about the aforementioned challenges. Climate change and ecological problems are a relevant issue in Georgia as well. The main objective of this study is to determine the awareness and knowledge level of students about climate change and ecological problems, as well as their views and future expectations on the subject matter. **Method:** As part of a quantitative research, structured and self-administered questionnaires were sent online to students from five universities. The questionnaire was open for a week and was attended by 107 students. **Results:** The majority of students (97.2%) have heard of climate change. Most of them have heard about environmental problems that are often talked about in TV and the internet. The level of knowledge on lesser-known environmental issues is relatively low. Most students believe that the state should pay more attention to these issues. **Conclusion:** Students' level of awareness about climate change and most environmental problems is high. Some of them are ready to take individual actions to combat these problems, but they also demand more action from the state.

Key words: Climate change, environmental problems, public health.